განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
30/01/2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

13/02/2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	229275405
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში 030108
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ჯიბლაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა, გახდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ადმინისტრატორი და ლიდერი; გაუღვივოს სტუდენტებს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ინტერესი, ხოლო სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპების მიმართ - პატივისცემა. განათლების სფეროში მოტივირებული ლიდერების თუ განათლების სპეციალისტების მომზადებით, პროგრამას წვლილი შეაქვს საგანამანათლებლო სისტემის გაჯანსაღებაში და შესაბამისად, ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას.

პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების ადმინსიტრირების სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირებულ ვერსიას, რომელიც კონკრეტული, უმაღლესი განათლების სფეროდან უფრო ფართო - საგანამანათლებლო სფეროზე გადაინაცვლებს და მოიცავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეებს. სამაგისტრო პროგრამის ეყრდნობა ტემპუსის პროექტის - MAHATMA - ფარგლებში შექმნილ პროგრამას უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მიმართულებით. საერთაშორისო პარტიორობის ნიადაგზე შექმნილი პრგორამა რეგულარულად გადიოდა განმავითარებელ ცვლილებებს, შიდა საუნივერსიტეტო დაკვირვების, სტუდენტებთან ინტენსიური მუშაობის და სამუშაო/დასაქმების გარემოს შესწავლის შედეგად, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გააფართოვოს პროგრამის ფოკუსი და შესაბამისად, გაზარდოს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები.

პროგრამა ყოველწლიურად საშუალოდ 8-11 სტუდენტს ღებულობს, ამჟამად 9 აქტიური სტუდენტი ყავს. სტუდენტთა მიერ პროგრამის დამთავრების მაჩვენებელი 5 წლის განმავლობაში 57%-დან 83%-მდე მერყეობს. ხშირ შემთხვევაში, სტატუსის შეჩერების მიზეზი დასაქმებაა.

უნივერსიტეტში შექმნილია სწავლის, კვლევისა და პროფესიული განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები. თვალსაჩინოა აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების თუ კურსდამთავრებულების ძლიერი საუნივერსიტეტო იდენტობა და კოლეგიალურ და ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის შეგრძნება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი გაიმართა 2019 წლის 30 იანვარს. ვიზიტი გამართა აკრედიტაციის სამკაციანმა ჯგუფმა (შემადგენლობა იხ. გვ.2-ზე). უნივერსიტეტში სამუშაო პროცესი დატვირთული სამუშაო დღის რეჟიმში წარიმართა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მშვიდი და კეთილგანწყობილი გარემო შეგვიქმნეს, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიწია სამუშაო დღის ოდნავ გახანგრძლივება. დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა შეხვედრა შედგა და მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე სტანდარტს, ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ შზსუ-ს საუნივერსიტეტო დონეზე მუშაობს პროგრამის განვითარების მუდმივმოქმედი მექანიზმი, რის ფარგლებშიც განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის, მუდმივი დახვეწა ხდება. აკრედიტაციის ჯგუფს მხოლოდ 1.2. და 2.3. ქვესტანდარტებში აქვს პროგრამაზე მომუშავე გუნდისთვის განსაზღვრული რეკომენდაციები, ხოლო სხვა შემთხვევებში, პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის შეთავაზებულია რჩევები.

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის ხელმძღვანელმა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ერთად უნდა კიდევ ერთხელ გაიაზრონ სწავლის შედეგების რუკის დანიშნულება და ხელახლა გაიარონ რუკის შედგენის სავარჯიშო.
  - უმჯობესი იქნება, თუ კურსის „ფინანსური საკითხები განათლებაში“ სილაბუსს სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ თემები დაემატებოდა.
  - განათლების ფსიქოლოგიის კურსისთვის შეიძლება ადამიანის სოციალური, ემოციური და მორალური განვითარების შესახებ საკითხების დამატება პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის საკითხების ნაცვლად.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - არჩევითი სასწავლო კურსების დამატება პროგრამას უფრო მოქნილს და სტუდენტის ინტერესებზე მორგებულს გახდიდა.
  - უნივერსიტეტმა განაგრძოს მუშაობა სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის შესაძლებლობების გაზრდისთვის
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - უნივერსიტეტი აწყობს ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციას და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციას, რომელშიც სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობა.
  - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ნაშრომების გამოქვეყნებას.
  - პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უპირობოდ ორიენტირებულია სტუდენტების მხარდაჭერაზე - იქნება ეს აკადემიური, კვლევითი თუ ინდივიდუალური განვითარების საკითხები
  - სტუდენტებს ხელი ეწყობათ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, კვლევებში თანამონაწილეობის და შემდგომ, სტატიების თანაავტორობის შესაძლებლობა.
  - უნივერსიტეტს აქვს კვლევის მხარდაჭერის მკაფიო ფინანსური პოლიტიკა (რომლითაც ამ კონკრეტული პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სარგებლობენ)

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ხუთი წლის განმავლობაში შემდეგი ძირითადი ცვლილებები განხორციელდა:

2014/15: სილაბუსების დახვეწა მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით

2016/17:

- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასება ერთჯერადად ხორციელდება. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
- შეიცვალა შეფასების სისტემა. ყველა სასწავლო კურსის ლექტორს შეუძლია განსაზღვროს შეფასების კომპონენტების „წონა“, მინიმალური კომეტენციის ზღვარი ინდივიდუალურად დგინდება სასწავლო კურსების მიხედვით, ჯამში საბოლოო შეფასება მაქსიმუმ 100 ქულაა.
- დაიხვეწა სწავლებისა და სწავლის მეთოდების გრაფა საგანმანათლებლო პროგრამებსა და სილაბუსებში.

2017/18:

- სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვა განათლებაში“ დაემატება (ამოქმედდა 2018/19 სასწავლო წლიდან)

2018/19:

- სწავლის შედეგების დახვეწა; სასწავლო კურსების კრედიტების დაზუსტება; ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობის დაზუსტება (იხ. თვითშეფასება)

ხელახალი აკრედიტაციის პერიოდისთვის მოხდა სამაგისტრო პროგრამის ფოკუსის გამსხვილება (რომ მოიცვას არა მხოლოდ უმაღლესი, არამედ ზოგადი და პროფესიული განათლება). შესაბამისი ცვლილებები მოიცავს:

1) შეიცვალა პროგრამის სახელწოდება „უმაღლესი განათლების ადმინისტრირებიდან“ „განათლების ადმინისტრირებად“ (ცვლილება შეეხო ასევე იმ სასწავლო კურსების სახელწოდებებს, რომლებიც მოიცავენ შესიტყვებას „უმაღლესი განათლება“, სილაბუსებში შესატყვისი ცვლილებებით);
2) გამსხვილდა სწავლის შედეგები;
3) სწავლის შედეგების შეფასებას დაემატა რუბრიკა;
4) დაზუსტდა ჩარიცხვის წინაპირობა;
5) დაზუსტდა სასწავლო კურსების კრედიტები;
6) დაზუსტდა ზოგიერთი სასწავლო კურსის წინაპირობა. (იხ. თვითშეფასება)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების ადმინსიტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა, გახდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ადმინისტრატორი და ლიდერი; გაუღვივოს სტუდენტებს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ინტერესი, ხოლო სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპების მიმართ - პატივისცემა. განათლების სფეროში მოტივირებული ლიდერების თუ განათლების სპეციალისტების მომზადებით, პროგრამას წვლილი შეაქვს საგანამანათლებლო სისტემის გაჯანსაღებაში და შესაბამისად, ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას. პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირებულ ვერსიას, რომელიც კონკრეტული, უმაღლესი განათლების სფეროდან უფრო ფართო - საგანმანათლებლო სფეროზე გადაინაცვლებს და მოიცავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეებს. პროგრამის მიზნები გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, „წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში“ (შზსუ მისია: https://www.ibsu.edu.ge/ge/about/about-ibsu/vision-and-mission) და ეს გააკეთოს (მათ შორის) გამოყენებით კვლევაზე, ინტერნაციონალიზაციაზე, უწყვეტ განათლებაზე აქცენტებით. უნივერსიტეტის რექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ პროგრამის განვითარების მიმართულებები საერთო საუნივერსიტეტო განვითარებისთვის საჭირო პროცესებშია ინტეგრირებული. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვექტორი ამ მიმართლებით გამოყენებით კვლევებზე აქცენტია. უნივერსიტეტი საგულისხმო ფინანსურ რესურსს დებს, რომ გაზარდოს მოტივაცია ხარისხიანი კვლევის წარმოებისთვის (დაწვრილებით იხ. სტანდარტი 4) და შექმნილი აქვს კვლევის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, იქნება ეს კონფერენციებში მონაწილეობა, ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში თანაავტორობით სტატიების გამოქვეყნება, სტუდენტური კონფერენციების ორგანიზება თუ სხვა. იგივე აქცენტი თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • პრგორამის აღწერა • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.ibsu.edu.ge/ge/ • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა განსაზღვრული, ისინი შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური. მიღწევის შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ექნებათ აუცილებელი კომპეტენციები განათლების სფეროში დასაქმებისთვის და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის. პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კომუნიკაციის უნარი, დასკვნის უნარი, სწავლის

უნარი, ღირებულებები) კარგად ახერხებს თეორიისა და პრაქტიკის შერწყმას. პროგრამას აქვს პრაქტიკის კომპონენტიც, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ საჭირო უნარების ათვისებასა და ეფექტურად გამოყენებას. პროგრამას აქვს კარგად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ყოველწლიურად ერთ-ორ შედეგზე დაკვირვება ყოველწლიურად 3,5 წლის პერსპექტივით (იხ. თვითშეფასება, დანართი 9). მეთოდოლოგია ეხლა ინერგება, რომელმაც საშუალება უნდა მისცეს პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფს, განსაზღვრონ/მართებულად შეაფასონ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში თითოეული კურსის წვლილი. მიუხედავად ზემოხსენებულისა, მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების რუკის თანახმად თითქმის ყველა სასწავლო კურსი თითქმის ყველა სწავლის შედეგზე გადის (ერთი თუ ორი გამონაკლისი გარდა). ამდენად, გაურკვეველი რჩება ლოგიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ რუკის შედგენა. თვითშეფასების ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ერთად უნდა კიდევ ერთხელ გაიაზრონ სწავლის შედეგების რუკის დანიშნულება და ხელახლა გაიარონ რუკის შედგენის სავარჯიშო. პროგრამის სწავლის შედეგები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, ისინი დადგენილია პროგრამის აკადემიური პერსონალის ჩართულობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები და კომპეტენციები; ○ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან.
რეკომენდაციები: პროგრამის ხელმძღვანელმა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ერთად უნდა კიდევ ერთხელ გაიაზრონ სწავლის შედეგების რუკის დანიშნულება და ხელახლა გაიარონ რუკის შედგენის სავარჯიშო.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვან) პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. პროგრამაზე დაიშვებიან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ ორიდან ერთ-ერთ პირობას: ბაკალავრის ხარისხი უნდა ჰქონდეთ განათლებაში ან განათლებაში მუშაობის (მასწავლებლად, ადმინისტრატორად) სულ ცოტა ერთი წლის გამოცდილება. ასევე, პირს შეიძლება გავლილი ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამა. ეს მოთხოვნა ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, მის სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარებასთან ერთად, აპლიკანტებს მოეთხოვებათ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება. ინგლისურენოვანი პროგრამების კურსდამთავრებულები აბარებენ გამოცდას სპეციალობაში, ხოლო დანარჩენები - სპეციალობის გარდა აბარებენ გამოცდას ინგლისურ ენაში, რომელიც შეესაბამება B2 დონეს (თუ მათ არ გააჩნიათ შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი). თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვან) პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.ibsu.edu.ge ; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა შედგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
პროგრამა შედგება 9 სავალდებულო, 7 არჩევითი და 2 არჩევითი / თავისუფალი კურსისაგან და მოიცავს 120 კრედიტს. მათ შორისაა პრაქტიკის 6 კრედიტი.
წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ 18 სასწავლო კურსი.

პროგრამის შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია. თუმცა, არჩევითი სასწავლო კურსები ნაკლებად მრავალფეროვანია. სამაგისტრო ნაშრომის კურსი თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა გაერთიანებული პროგრამის მთლიან სტრუქტურაში.
პროგრამის შემუშავებაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, დაემატა ახალი კურსი: ადამიანური რესურსების მართვა განათლებაში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.ibsu.edu.ge ;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არჩევითი სასწავლო კურსების დამატება პროგრამას უფრო მოქნილს და სტუდენტის ინტერესებზე მორგებულს გახდიდა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კურსები ორიენტირებულია საჭირო დარგობრივი კომპეტენციებისა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევის განვითარებაზე.

კურსების შინაარსები ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ზოგიერთი კურსის სილაბუსებში გამორჩენილია მნიშვნელოვანი თემები. კერძოდ,

კურსი „ფინანსური საკითხები განათლებაში“ მთლიანად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეხება. განათლების ფსიქოლოგიის კურსში არ არის ისეთი თემები, როგორიცაა სოციალურ-ემოციური და მორალური განვითარება, სამაგიეროდ დიდი დრო ეთმობა კლინიკური ფსიქოლოგიის საკითხებს (სტრესი და ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური აშლილობები, ფსიქოლოგიური თერაპიები). თითოეული კურსისთვის განსაზღვრული კრედიტი (საკონტაქტო და დამოუკიდებლად სამუშაო საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და შედეგებს. პროგრამა ხორციელდება 2 აკადემიური წლის განმავლობაში და სულ მოიცავს 120 კრედიტს: 3 სასწავლო კურსი 10 კრედიტიანი საგანია, 3 კურსი - 8 კრედიტიანი, ხოლო 11 კურსი - 6 კრედიტიანი. საგნების შინაარსობრივი დატვირთვა, გამოყენებული სასწავლო ლიტერატურის მოცულობა და საათობრივი დატვირთვა ლოგიკურ ახსნას გვთავაზობს მინიჭებული კრედიტების შესახებ. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტის გავლას, რისთვისაც სტუდენტი იღებს 30 კრედიტს. ძირითადი ლიტერატურა შერჩეულია დარგში არსებული სიახლეების საფუძველზე. სტუდენტები უცხო ენაზე ეცნობიან ლიტერატურას. ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუების დროს. აგრეთვე, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ლიტერატურისა და სასწავლო მასალების შემოწმება, რითაც დადასტურდა სილაბუსებში მითითებული ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ კურსების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ბიბლიოთეკაში ვიზიტი.
რეკომენდაციები: უმჯობესი იქნებოდა, თუ კურსის „ფინანსური საკითხები განათლებაში“ სილაბუსს სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების შესახებ თემები დაემატებოდა. განათლების ფსიქოლოგიის კურსისთვის შეიძლება ადამიანის სოციალური, ემოციური და მორალური განვითარების შესახებ საკითხების დამატება პიროვნების და კლინიკური

ფსიქოლოგიის საკითხების ნაცვლად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციების მოწყობას, რომლებშიც აქტიურად ერთვებიან ყველა საფეხურის სტუდენტები. კონფერენციების მონაწილეთა ნაშრომები გამოიცემა უნივერსიტეტის კრებულის სახით. განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსაც აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ამ კონფერენციებში. გარდა ამისა, სტუდენტებს ხელს უწყობენ მათი კვლევის შედეგების გამოქვეყნებაში. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ისინი ხშირად იღებენ მონაწილეობას კონფერენციებში, რომლებიც საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ იმართება. კურსების სწავლის შედეგების მიხედვით პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული ლექციისა და პრაქტიკული სამუშაოს განაწილება.

პრაქტიკას პროგრამაში 6 კრედიტი აქვს დათმობილი. პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი ისეა დაგეგმილი, რომ უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გადატანას. პრაქტიკის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტებთან, პროფესიულ სასწავლებელთან და სკოლებთან გაფორმებულია მემორანდუმები. ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუების დროს. უნდა აღნიშნოს, რომ ტიპიური დამსაქმებელი პროგრამისთვის არის სკოლა და თავად შზსუ. ამჟამად, პროგრამამ შეიძინა ახალი პარტნიორები პროფესიული კოლეჯების სახით. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სტუდენტების მიერ სკოლაში გავლილი პრაქტიკა ძალიან გამოსადეგი იქნება სკოლისთვის, რადგან ისინი შემოიტანენ სიახლეს და ინგლისური ენის კარგად ფლობის გამო მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებიან სკოლისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩაბმულობა (უნივერსიტეტის წარმოდგენილი მონაცემები); ○ მემორანდუმები უნივერსიტეტებთან, პროფესიულ სასწავლებელთან და სკოლებთან.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უნივერსიტეტი აწყობს ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციას და ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენციას, რომელშიც სამაგისტრო ფაკულტეტის სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობა. ○ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების ნაშრომების გამოქვეყნებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფენ მათ მიღწევას; პროგრამაში მოცემულია სწავლების/სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა).
ინტერვიუების დროს მასწავლებლებიც და სტუდენტებიც საუბრობდნენ სწავლების სტუდენტზე ორიენტირებული და ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებაზე და შესაბამისი მაგალითებიც მოჰყავდათ.
ამრიგად, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების №3, 05.01.07 შესაბამისად, 100 ქულიან სკალაზე. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში; ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

შეფასების ფორმატია: ტესტი, ზეპირი გამოკითხვა, ესე, პრეზენტაცია, ინდივიდუალური / ჯგუფური პროექტი, ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი, შუალედური და დასკვნითი გამოცდა, რომელიც მოიცავს „დახურილი“ და „ღია“ ტიპის შეკითხვებს, კვლევის გეგმა-პროექტი, დაცვა (სამაგისტრო ნაშრომის). შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთებისა და პრაქტიკული მაგალითების ადეკვატურობა, ტერმინოლოგიის გამოყენების ადეკვატურობა, დისკუსიაში ჩაბმულობა, მსჯელობის ლოგიკურობა.

შეფასება არის გამჭვირვალე, სილაბუსებში მოცემულია შეფასების სისტემა (100 ქულიანი) და კომპონენტები. ყველა კურსში სტუდენტი ეცნობა შეფასების მეთოდს კურსის დაწყებამდე. ყველა სილაბუსში დაწვრილებითაა გაწერილი შეფასების სისტემა, შეფასების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკების ჩათვლით. შეფასება

განსხვავდება სხვადასხვა კურსზე, ის მორგებულია კურსის სპეციფიკას. ასევე, პროფესორები უზრუნველყოფენ სტუდენტთა შედეგების ინდივიდუალურ განხილვას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ შეფასებას უნივერსიტეტის ელექტრონულ სისტემაში (SIS) თითოეული დავალების შემდეგ, თავიანთი მუშაობის შედეგის ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით ზეპირ კომენტარებთან ერთად. ვიზიტის ფარგლებში, თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუების დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ განათლების ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი www.ibsu.edu.ge; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია	X			

და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, შავი ზღვის საერთაშორის უნივერსიტეტში, სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე სათანადო კონსულტაციას. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რომელიც მოიცავს ერთ ან ორ სამუშაო დღეს. საორიენტაციო შეხვედრებზე სტუდენტებს პროგრამის კოორდინატორის მიერ მიეწოდებათ ინფორმაციო პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესახებ. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებით. კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა თქმით პროგრამა მათ სთავაზობს როგორც შზსუ-ის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მიერ დაიწერა რამდენიმე სტატია და გამოქვეყნდა შემდეგ ჟურნალებში: “Journal of Education in Black Sea Region”, Modern Trends in Education”. კარიერული განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტები სისტემატიურად იღებენ ინფორმაციას ფეისბუქის გვერდისა და მეილის მეშვეობით. აგრეთვე, პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სწავლების პროცესთან დაკავშირებული კონსულტაციებით, რომელთა მიღება შეუძლიათ როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალისგან მეილის, ტელეფონის თუ საკონსულტაციო შეხვედრების მეშვეობით. საკონსულტაციო საათები ასახულია სილაბუსებსა და პერსონალის სამუშაო აღწერილობაში. შზსუ-ში მუდმივად ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, რაც დადასტურდა ვიზიტის ფარგლებშიც. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თქმით,

მათი რეკომენდაციები და ინიციატივები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების კუთხით წახალისებული და გათვალისწინებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან. მეტიც, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ ხაზგასმით აღინიშნა უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა აქტიური სოციალური ცხოვრების წახალისების მიზნით კლუბების, ექსკურსიებისა, საფეხბურთო ლიგისა და სხვათა ხელშეწყობა. სტუდენტთა თქმით, პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა, თუმცაღა არც ერთ მათგანს არ უსარგებლია გაცვლითი პროგრამებით. მათი მხრიდან პრობლემურ საკითხად ასევე დაფიქსირდა სტაჟირების მწირი შესაძლებლობები, განსაკუთრებით უნივერსიტეტებში. ეს აიხსნება იმ გარემოებით რომ სამწუხაროდ, საუნივერსიტეტო სივრცეში ღიაობა სხვა უნივერსიტეტის სტუდენტების სტაჟირებაზე მიღებისთვის, სულ მცირე, დაბალია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ დანართი 20 (საორიენტაციო/ინდუქციის პროგრამების სურათები და ინფორმაციული ბუკლეტი, რომელიც ამ შეხვერაზე მიეწოდება სტუდენტებს) ○ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები (იხ. დანართი 17) ○ პერსონალის სამუშაო აღწერილობები; ○ პრაქტიკის მემორანდუმები; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტმა განაგრძოს მუშაობა სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის შესაძლებლობების გაზრდისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამაში ჩართული აკადემიური და ადმინსიტრაციული პერსონალი უპირობოდ ორიენტირებულია სტუდენტების მხარდაჭერაზე - იქნება ეს აკადემიური, კვლევითი თუ ინდივიდუალური განვითარების საკითხები ○ სტუდენტებს ხელი ეწყობათ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, კველევებში თანამონაწილეობის და შემდგომ, სტატიების თანაავტორობის შესაძლებლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფით, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება კვალიფიციური ხელმძღვანელების არსებობით. თოთოეული მაგისტრანტის ხელმძღვანელს აქვს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და გარდა ამისა, კვალიფიკაცია დასტურდება პუბლიკაციებით სათანადო თემატიკაზე და სასწავლო კურსის სწავლების გამოცდილებით.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სწავლების ენა მათთვის იყო გამოწვევა, განსკუთრებით კი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში, მათთვის აღნიშნულმა პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიარა, რაც აკადემიური პერსონალისა და განსაკუთრებით სამეცნიერო ხელმძღვანელების დამსახურებას წარმოადგენს. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელების მხრიდან სტუდენტთა კონსულტირება არ შემოიფარგლება მხოლოდ საკვლევი თემის სათაურის შერჩევის, ლიტერატურის მოძიების, კვლევის გეგმისა და დიზაინის შექმნით, არამედ ხელმძღვანელები ხშირ შემთხვევაში ნაშრომის ენობრივ და სტილისტურ დახვეწაშიც იღებენ მონაწილეობას და ამ მიზნით სთავაზობენ სპეციალურ ლექსიკონებსა და შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას.

ინტერვიუს შედეგების გავალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს როგორც ტელეფონის, მეილისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, ისე პირისპირ საკონსულტაციო შეხვედრებით. შეფასების ჯგუფი გაეცნო სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშებს. ნაშრომებში დაცულია აკადემიური კვლევითი პროდუქტისთვის მნიშვნელოვანი მოთხოვნები, დაცულია აკადემიური წერის წესები, სტრუქტურა და შეფასება შეესაბამება სტუდენტის მიერ

წარმოდგენილ კვლევით პროდუქტს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ მაგისტრანტების ხელმძღვანელების პირადი საქმეები (დანართი 1) ○ ხელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა (დანართი 15) ○ სამაგისტრო სწავლების დებულება (დანართი 15) ○ სტუდეტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები (დანართი 15 და 17) ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია და გამოცდილება სავსებით შეესაბამება მათ ფუნქციებსა და არსებულ კანონმდებლობას. ისინი არიან პროფესიონალები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება, თეორიული ცოდნა, სწავლების მეთოდების ცოდნა და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევები. პროგრამას არ ჰყავს მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამას 10 აფილირებული აკადემიური პერსონალი ახორციელებს, მათ შორისაა 3 პროფესორი და 7 ასოცირებული პროფესორი. როგორც თვითშეფასების დოკუმენტში განმარტებულია, 1-მა მოწვეულმა პერსონალმა მოიპოვა აკადემიური სტატუსი, თუმცა CV-ში კვლავ მოწვეულ ლექტორად მოიხსენიება. მათ მიერ ქართულ და ინგლისურ ენებზე ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა (ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 26 ნაშრომი, საერთაშორისო ჟურნალებში – 20), ასევე, კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები (ადგილობრივ კონფერენციაზე 1 მოხსენება, საერთაშორისოზე – 45) ადასტურებს მათ კომპეტენტურობას შესაბამის სფეროებში. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, არის პროფესორი და პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილია სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომები და გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები. მოცემულია პერსონალთან გაფორმებული შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის CV და პირადი საქმეები; ○ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ერთი თანამშრომლის CV საჭიროებს განახლებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასება, აკადემიური საქმოანობის შეფსაბა სემესტრულ ხასიათს

ატარებს, ხოლო მეცნიერული აქტიურობა - წლიურად ფასდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს საორიენტაციო შეხვედრებს ახლად არჩეული აკადემიური (და მოწვეული პერსონალისთვის. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამას არ ყავს მოწვეული პერსონალი).

უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიმართლებას გამოყენებით კვლევის წარმოება წარმოდგენს და ამისთვის ის სხვადასხვა სახით უწყობს პროფესორ-მასწავლებლებს ხელს. კერძოდ: აფილირებული პროფესორისთვის დამატებით 3000 ლარია გამოყოფილი სამეცნიერო მუშაობისთვის. იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის დამატებით 1500 ლარი არის გამოყოფილი. თუ აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონოგრაფიის, თუ სხვა ტიპის კრებულის გამოცემას უნივერსიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, უნივერსიტეტი თავის სახსრებით ბეჭდავს მას. წახალისებულია საერთაშორისო თანამშრომლობების გაღრმავება, კონფერენციებში მონაწილეობა. მიმდინარე წელს, აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის წასახალისებლად ERASMUS+ სქემაში ჩაერთო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასება
- უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები
- უსდ-ს ბიუჯეტი
- პუბლიკაციები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს კვლევის ხელშეწყობის მტკიცე მექანიზმი, რომელიც ფინანსრურად არის გამყარებული.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შზსუ-ის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტში შექმნილია სწავლისა და კვლევისათვის ხელშემწყობი გარემო, გამართული, აღჭურვილი აუდიტორიებით, საკონფერენციო დარბაზით, გამართული ბიბლიოთეკით, დამოუკიდებლად სამუშაო და დასასვენებელი სივრცეებით, როგორიცაა შიდა და გარე სივრცეები სპორტული აქტივობებისთვის. სტუდენტებს მარტივი წვდომა აქვთ საბიბლიოთეკო რესურსზე. ბიბლიოთეკის სივრცე ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის საშუალებას იძლევა. სტუდენტებს წვდომა აქვთ როგორც პროგრამის ფარგლებში საჭირო რესურსთან, ისევე საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან. პერიოდულად (სემესტრულად ან წლიურად) ხდება სტუდენტების თუ აკადემიური პერსონალის მიერ მოთხოვნილი წიგნების შეძენა დადგენილი პროცედურის მიხედვით. ჯამში, უნივერსიტეტში შექმნილია კეთლგანწყობილი, ეფექტური მუშაობისთვის ხელშემწყობი გარემო როგორც თანამშრომლების, ისევე სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მომგებიანია. მიღებული მოგების წილი კვლავ პროგრამის განვითარებას ხმარდება. ფინანსური გათვლით, 5-ზე მეტი სტუდენტის მიღების შემთხვევაში, პროგრამა ფინანსურად მდგრადია.

უნივერსიტეტის საერთო და ფაკულტეტის ბიუჯეტშიც ნათლადაა გამოკვეთილი უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულება - გამოყენებითი კვლევის გაძლიერება. მაგალითად, განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2017-18 წლის ხარჯების 1/5ზე მეტი სამეცნიერო საქმიანობაზე მოდის.

ჯამში, უნივერსიტეტის გონივრული ფინანსური პოლიტიკა და გამართული ბიუჯეტირების პროცესი და პროცედურები უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასება
- პროგრამის ბიუჯეტი
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტს აქვს კვლევის მხარდაჭერის მკაფიო ფინანსური პოლიტიკა (რომლითაც ამ კონკრეტული პროგრამის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სარგებლობენ)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაზე და მათი განვითარების ხელშეწყობაზე, აკადემიური პერსონალის საქმიანობაზე. შიდა ხარისხის შეფასებისთვის, სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018 – 2025 წწ.) ითვალიწინებს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას, საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალურ დონეზე განხორციელებას, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივ განვითარებას, სტუდენტთა მხარდაჭერის კუთხით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინარული კვლევის გაძლიერებას, კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის ინტეგრირებას და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას. კერძოდ, ყურადღება ექცევა კვლევისა და სწავლების ინტეგრირებას, სტუდენტების მხარდაჭერასა და წახალისებას სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვის კუთხით, კვლევითი უნარჩვევების გაუმჯობესებასა და მაღალი ხარისხის კვლევის ჩატარებაში, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარებას და სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესებას. აგრეთვე, ხაზი უნდა გაესვას აკადემიური პუბლიკაციების რაოდენობის და ხარისხის გაზრდას, კვლევითი ცენტრების ეფექტურობის გაზრდას, ადგილობრივი / რეგიონალური / საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების რაოდენობის ზრდას აკადემიური პერსონალის მონაწილეობით / ორგანიზებით და სხვა მსგავს საკითხებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სამაგისტრო პროგრამის პროფესორები შეთანხმებულად მუშაობენ სწავლებისა და სწავლის და სამეცნიერო მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის მიდგომას. დაგეგმვის (სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული ცალკეული საკითხების შეფასება, შედეგების ანალიზი) მიზნებისათვის ხარისხის სამსახური შეიმუშავებს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს. განხორციელება-შემოწმება გულისხმობს ხარისხის სამსახურის მიერ პროცესების განხორციელების პერიოდულ მონიტორინგს, მათ შორის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სილაბუსით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს და

სხვ. ამავე ეტაპზე ასევე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება (SWOT ანალიზი), რომელიც მოიცავს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას, შესაბამისი ადამიანური რესურსის შეფასებას, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას და სხვ. უნივერსიტეტის მიერ ინტერნეტ-სივრცეში გამოყოფილია სპეციალური პორტალი სადაც როგორც სტუდენტებს, ისე პერსონალს ეძლევა საშუალება დააფიქსიროს თავისი აზრი, შეფასებები, შეთავაზებები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შედეგების ანალიზს და იმის დადგენას, თუ რამდენად სწორად და ეფექტურად მიმდინარეობს დაგეგმილი პროცესები, მიიღება თუ არა სასურველი შედეგები. შემოწმების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, სასწავლო კურსების სილაბუსების და/ან საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობის ცვლილება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, რათა მიღწეულ იქნას სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული სისტემის შექმნა და ზოგადად პროცესებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025). დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 05/02/2018 გადაწყვეტილებით, ოქმი №:2 (დანართი №:2); ○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (სახელმძღვანელო დოკუმენტი). დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018წ. - ოქმი N1 (დანართი №7); ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებია „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის უზრუნველყოფა“.

უნივერსიტეტმა ჩაატარა აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის წინამორბედი პროგრამის „უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის“ კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების გამოკითხვა და მიიღეს რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებასაც გეგმავენ. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების ხარისხს აფასებენ მოწვეული ექსპერტებიც. მაგალითად, ტემპუსის პროექტ „MAHATMA“-ს ფარგლებში ჩამოსული საერთაშორისო ექსპერტების ჩართვით გადამუშავდა და დაიხვეწა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა.

დამატებით, წარმოდგენილმა პროგრამამ გარე ექსპერტიზა გაიარა კვიპროსის ღია უნივერისტეტის ბაზაზე. უახლოეს მომავალში იგეგმება მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვლისწინება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უმაღლესი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დამსაქმებლების ანკეტირების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შეფასებისა და განვითარებისთვის გეგმავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით. ამის საფუძველზე სისტემატურად შემუშავდება რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია როგორც სწავლის/სწავლების პროცესზე, ისე პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე. პროგრამის ფარგლებში შექმნილია „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასებას 3 და 5 წლიანი გეგმების მეშვეობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია აკადემიური პერსონალის

თვითშეფასების კითხვარი, სტუდენტთა მიერ პროგრამების, ლექტორებისა და კურსების შეფასების კითხვარები (ტარდება წელიწადში ორჯერ), აკადემიური პერსონალის მუშაობის წლიური ანგარიში, რომლებიც გამოიყენება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად. ამ კითხვარების შედეგების საფუძველზე მზადდება წლიური ანგარიში, რომელიც გადაეცემა ფაკულტეტს და გამოყენებული იქნება პროგრამის მოდიფიკაციის და გაუმჯობესებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 18/01/2018წ. - ოქმი N1 (დანართი №6) ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ელენე ჯიბლაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ქეთევან თოდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა